



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018 - 2025 წწ

განხილული და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 11; 29.01.2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი :

ირმა შიოშვილი

თელავი

2018 წ.

შინაარსი

შესავალი	3
მისია	3
ხედვა	4
უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები.....	4
უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნები და ამოცანები.....	4
უნივერსიტეტის მიზნები	5
მიზანი 1: სტუდენტთა სწავლების, სტუდენტური ცხოვრების, დასაქმების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა.....	6
მიზანი 2: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ახალი პროგრამების შემუშავება.....	6
მიზანი 3: კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა.....	7
მიზანი 4: უნივერსიტეტის მართვის სისტემის და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება.....	8
მიზანი 5: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა.....	9
მიზანი 6: უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.....	9
მიზანი 7: ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა	10
მიზანი 8: სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მატერიალური ბაზის სრულყოფა	11
მიზანი 9: საბიბლიოთეკო რესურსის განახლება	12
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	

ფაკულტეტი.....	13
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი.....	14
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.....	15
აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.....	16
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი.....	18

შესავალი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყალთოს აკადემიის, თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სასწავლებლის (დამაარსებელი ერეკლე II), სასულიერო სემინარიის, სასულიერო სასწავლებლის მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. 1924 წელს თელავში პედაგოგიური ტექნიკუმი დაარსდა, რომელიც 1939 წლიდან უმაღლეს სამასწავლებლო, 1951 წლიდან კი პედაგოგიურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 1940 წლიდან სასწავლებელი დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სახელს, 1999 წლიდან კი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსს ატარებს. ის ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია და სწავლება სახელმწიფო ქართულ ენაზე მიმდინარეობს. განათლების მიღება უნივერსიტეტში განახლებული პროგრამებით, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზეა შესაძლებელი. სასწავლებელი პროფესიული განათლების პროგრამებსაც ახორციელებს.

მისია

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურსა და პროფესიულ სწავლებაში თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების დანერგვით, აკადემიური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვადასხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.

ხედვა

2025 წლისთვის გახდეს ყველაზე მოთხოვნადი სასწავლებელი რეგიონის მოსახლეობისა და კახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის; გახდეს ერთ-ერთი ინოვაციური უნივერსიტეტი ტურიზმის, განათლების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით; შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი კახეთის რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ განვითარებაში.

უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები

უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებებია ვროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეთიკურ იდეალებს დაფუძნებული: უნივერსიტეტის ავტონომიურობა, პერსონალისა და სტუდენტთა მულტიკულტურული/ინტერკულტურული გარემოს მხარდაჭერა; პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და პიროვნების პატივისცემა; აკადემიური თავისუფლება; ტოლერანტობა, ჰუმანიზმი, კეთილსინდისიერება და განვითარებისკენ სწრაფვა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტის პირობებში, უნივერსიტეტმა სწავლების, კვლევისა და მართვის ხარისხის დადასტურება უნდა მოიპოვოს. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა უნივერსიტეტის 2018-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის სრულყოფაში სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული ერთეულებისა და საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. წინამდებარე დოკუმენტი, უნივერსიტეტის მიერ უკვე მიღწეული შედეგების ანალიზის, სასწავლებლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათ დასაძლევად საჭირო შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ სამოქმედო სტრატეგიას წარმოადგენს.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გარემოს, მიგრაციული პროცესების, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მზარდი კონკურენციის პირობების ფონზე, 2018-2025 წლებში, პროგრამული აკრედიტაციის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა წარადგინოს ახალი, ძირეულად მოდიფიცირებული პროგრამები და მოამზადოს რეგიონისთვის პრიორიტეტული უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისა და პროფესიული განათლების ახალი პროგრამები.

სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტმა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და რეალურად განხორციელებად მიზნებზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს.

უნივერსიტეტის მიზნებია:

- სტუდენტთა სწავლების, სტუდენტური ცხოვრების, დასაქმების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ახალი პროგრამების შემუშავება;
- კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის მართვის სისტემის და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მატერიალური ბაზის სრულყოფა;
- საბიბლიოთეკო რესურსის განახლება.

მიზანი 1: სტუდენტთა სწავლების, სტუდენტური ცხოვრების, დასაქმების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

უნივერსიტეტისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სტუდენტებისთვის კომფორტული და თანამედროვე სასწავლო/ კვლევითი გარემოს შექმნა.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულყოფა;
- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის აქტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის უფასო ტრენინგების შეთავაზება;
- სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება, მათი შემოქმედებითი და სპორტული ინტერესების გათვალისწინებით;
- სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის სოციალური აქტივობების განხორციელება.

მიზანი 2: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ახალი პროგრამების შემუშავება

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის განვითარებაში პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ახალი პროგრამების შემუშავება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ერთობლივი პროგრამების შემუშავება პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში უცხოელი პროფესორების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ინგლისურენოვანი პროგრამებისა და ცალკეული სასწავლო კურსების შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მიზნით, პოტენციურ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაღრმავება.

მიზანი 3: კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა

რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევაში ჩართულობა და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- კვლევითი პროექტების შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემის დახვეწა;
- დონორი ორგანიზაციებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ აკადემიური პერსონალის სისტემატური ინფორმირება და კვლევითი პროექტების დაფინანსების მოპოვების ხელშეწყობა;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებისა და ინოვაციური ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;
- უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების მაღალი რეიტინგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის ფინანსური მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა.

მიზანი 4: უნივერსიტეტის მართვის სისტემის და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება

უნივერსიტეტის მიერ დასახული პრიორიტეტების რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი დაწესებულების ეფექტიან მართვას ემყარება, რაც თავის მხრივ კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის გზით უნდა განხორციელდეს.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის სრულყოფა;
- სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ოპტიმიზაცია;
- კონკურენტუნარიანი და კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული პერსონალის მოზიდვა;
- რანჟირებული სახელფასო პოლიტიკის შემუშავება;
- საერთაშორისო გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვა უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულების საგამანათლებლო პროგრამებისათვის;
- სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკისა და ქცევის წესების რეგულაციის გაუმჯობესება;
- შიდა აუდიტის სისტემის დანერგვა;
- კადრების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ტრენინგების ჩატარება კომუნიკაციისა და სტუდენტთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის;
- ტრენინგების ჩატარება მართვის პროცესებში ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით;
- უცხო ენებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისების უფასო კურსების შეთავაზება პერსონალისთვის.

მიზანი 5: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის განვითარებას. შეიმუშავებს, სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და

მეთოდებს; გეგმავს შეფასების პერიოდულობას; აფასებს, როგორც სასწავლო, ასევე კვლევით პროცესებს; მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა/განვითარება;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის სრულყოფა;
- ყოველწლიურად სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული) კმაყოფილების კვლევა და მათზე რეაგირება;
- კვლევის შედეგებზე რეაგირების მექანიზმების დახვეწა;
- პლაგიატის აღმოჩენისა და შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის სრულყოფა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემის განვითარება და შეფასების შედეგების გამოყენება.

მიზანი 6: უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს საერთაშორისო სასწავლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობის გაფართოება;

- გაცვლით პროექტებში სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- აგრარულის, ტურიზმის და განათლების მიმართულებების შესაბამისი ფონდების იდენტიფიცირება და პროექტისთვის შესაფერისი პარტნიორების მოძიება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო პროექტების წერის მიმართულებით.

მიზანი 7: ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ბიუჯეტი სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, სწავლისა და კვლევისათვის კომფორტული გარემოს შექმნას ემსახურება.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ქვოტის მაქსიმალურად ათვისება;
- სტუდენტისთვის სწავლის საფასურის გადახდის ხელმისაწვდომი სისტემის შექმნა, დონორ და კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით;
- ინვესტიციების მოზიდვა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის;
- საზოგადოებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების სისტემის სრულყოფა;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა და განვითარება.

მიზანი 8: სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მატერიალური ბაზის სრულყოფა:

უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- I სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზით;

- IV სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზით, აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის;
- სტუდენტთა საცხოვრებელი კამპუსის მოწყობა მესამე კორპუსში;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების განახლება თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით;
- I სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დაწესებული სტანდარტის დაცვით;
- უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება;
- სტუდენტთათვის ინტერნეტ-სივრცით უზრუნველყოფილი ღია და დახურული სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;
- საუნივერსიტეტო გამომცემლობის დაფუძნება-განვითარება;
- სპორტული დარბაზებისა და მოედნების რეაბილიტაცია და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვა;
- უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთში ფერმერული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება;
- უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთში საირიგაციო სისტემისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებისათვის (აგრარული, ტურიზმი, განათლება) ჰაბლაბისა და ინკუბატორის შექმნა.

მიზანი 9: საბიბლიოთეკო რესურსის განახლება

უნივერსიტეტის სასწავლო/კვლევითი პროცესის წარმართვისა და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისათვის საბიბლიოთეკო რესურსი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- შშმ პირებისათვის საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- საბიბლიოთეკო რესურსის მომხმარებელთათვის გარემოს გაუმჯობესება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

- ინტერნეტ რესურსების მუდმივი მონიტორინგი და ახალი საინფორმაციო, მრავალფეროვანი და ხარისხიანი ელექტრონული რესურსების მოძიება;
- ელექტრონული კატალოგის სისტემატური სრულყოფა;
- ახალი საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება;
- ბიბლიოთეკის გამდიდრება წიგნადი ფონდით, ახალი ბეჭდური და ციფრული გამოცემებით, უახლესი ქართული და უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით, სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით (განსაკუთრებით აგრარულის, ტურიზმის, განათლების მიმართულებით).

უნივერსიტეტის ფაკულტეტების განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათი მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

მიზანი 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აკრედიტაციის მიღება - 2021 წ.;

- ფაკულტეტზე მოქმედი ქართული, როგორც მეორე ენა მოსამზადებელ პროგრამაზე აკრედიტაციის მიღება (აზერბაიჯანულენოვანთათვის, სომხურენოვანთათვის, ოსურენოვანთათვის, აფხაზურენოვანთათვის) - 2019 წ.;
- ერთწლიან პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის“ დანერგვა - 2019;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია“ აკრედიტაციის მიღება – 2019 წ.;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინგლისური ენა და ლიტერატურა“ (ინგლისურ ენაზე) აკრედიტაციის მიღება- 2022 წლისათვის;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“ აკრედიტაციის მიღება - 2019 წ.;

მიზანი 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარება:

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- კახეთის რეგიონში მდებარე ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შესწავლა - (2019-2020 წწ.);
- კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით, სხვადასხვა სახის

კვლევითი

პროექტების განხორციელება (ერთობლივი კვლევების/კონფერენციების ჩატარება) - (2019-2024 წწ.);

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურათაშორისი დიალოგები“ - (ორ წელიწადში ერთხელ);
- სამეცნიერო კონფერენცია- „სკოლა და უნივერსიტეტი“ _ (ყოველწლიურად);
- სამეცნიერო კონფერენცია - „კლასიკოსთა გაკვეთილები“ (ყოველწლიურად).

მიზანი 3. უწყვეტი განათლების (სასერთიფიკატო გადამზადების კურსები) მხარდაჭერა და განვითარება.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- უცხო ენების LLL კურსების შექმნა (2019-2020 წწ.).

2. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:

მიზანი 1. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- „მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი პროგრამის შექმნა და აკრედიტაციის მიღება - 2018 წლისათვის;
- „საგნის სწავლების მეთოდის“ სამაგისტრო პროგრამაზე აკრედიტაციის მიღება - 2019 წლისათვის;
- ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შექმნა და დანერგვა მოქმედ სამაგისტრო პროგრამაში - 2022 წლისთვის;
- ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შექმნა განათლების მიმართულებით - 2024 წლისათვის.

მიზანი 2. განათლების მეცნიერებათა მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- საერთაშორისო კონფერენციის: „განათლება, კვლევა, პრაქტიკა“ - (ორ წელიწადში ერთხელ);
- რეგიონის სკოლების პრობლემატიკის კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება (მაგისტრანტების ჩართულობით) - (2019 წელი).

მიზანი 3. უწყვეტი განათლების (სასერთიფიკატო გადამზადების კურსები) მხარდაჭერა და განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- მასწავლებელთა გადამზადების LLL კურსების შექმნა_ (2019 წ.).

3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

მიზანი 1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აკრედიტაციის მიღება - (2020; 2022 წწ.);
- „კომპიუტერულ მეცნიერებებში“ ახალი სამაგისტრო პროგრამის შექმნა და აკრედიტაციის მიღება (2023 წ.);
- „მიკრობიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაციის მიღება (2021 წ.);

მიზანი 2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარება
მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება - (2020; 2024 წწ.);
- ეკო-საგანმანათლებლო კონფერენციების მოწყობა (მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობით) - (ყოველწლიურად).

მიზანი 3. უწყვეტი განათლების (სასერთიფიკატო გადამზადების კურსები) მხარდაჭერა და განვითარება
მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი LLL კურსების შექმნა (2019 წ.).

4. აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიზანი 1. აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აკრედიტაციის მიღება - (2018 წწ.);
- მეღვინეობა-მევენახეობის სამაგისტრო პროგრამაზე აკრედიტაციის მიღება - (2018 წ.);
- „ისწავლე საქართველოს ფარგლებში“ საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორის ჩართვა: „მევენახეობა-მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში და „ალკოჰოლიანი სასმელების“ სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში (2018 წ.).

- რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამის - „ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“ ძირეული მოდიფიცირება, რომლის მიხედვითაც პროგრამა კონცენტრირებული იქნება მხოლოდ ალკოჰოლიანი პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაზე. ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში მეღვინეობის დარგის განვითარებას და ამ დარგში თანამედროვე მეცნიერული კვლევების შედეგების დანერგვას_ (2018 წ.).

მიზანი 2. აგრარულ მეცნიერებათა მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- საცდელი ობიექტის შექმნა, რომელიც წარმოდგენილი იქნება უნივერსიტეტის ბაზაზე ვენახის (2018-2019 წწ.), შერეული ბაღის (2018 წ.), სანერგის (2020 წ.), მინი-ღვინის საწარმოს (2023 წ.), მეცხოველეობის მინი-ფერმის სახით (2024 წ.), თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მარცვლეული კულტურების მოყვანით (2024 წ.).
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიკრობიოლოგიური კვლევისათვის ლაბორატორიის გაფართოება - 2018 წ.;
- „ღვინის ქიმიური შემადგენლობის საკვლევი“ ლაბორატორიის შექმნა - (2019 წ.);
- „ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის და მარნის მოწყობა“-2019 წელი;
- „კახეთის სამრეწველო სორტიმენტში შემავალი, პერსპექტიული ვაზის ჯიშების(ხიხვი, ქისი) გაშენების ოპტიმალური სქემის დაზუსტება და კორდონული ფორმების გამოცდა მოსავლის რაოდენობის და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით“. კვლევის მიზანია სტაციონალური ცდების საფუძველზე დადგინდეს პერსპექტიული ვაზის ჯიშების ხიხვის და ქისის გაშენების ოპტიმალური სქემა, ასევე კორდონული ფორმების გამოცდა ხიხვის და ქისის ჯიშის ვაზის ფორმირებისათვის - (2018-2021

წ.);

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აგროტექნოლოგიური რუკების შექმნა (2018-2019 წ.);
- თელავის მუნიციპალიტეტის ნიადაგების აგროქიმიური კარტოგრამის შექმნა (2020 წ.);
- კახეთის რეგიონის ნიადაგების აგროქიმიური კარტოგრამის შექმნა (2021-2024 წ.).

მიზანი 3. უწყვეტი განათლების (სასერთიფიკატო გადამზადების კურსები) მხარდაჭერა და განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- მეღვინეობა-მევენახეობის LLL კურსების განვითარება (2019 წ.).

მიზანი 4. ფერმერებისა და აგრარული მიმართულებით დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- კახეთის რეგიონის ფერმერებისათვის ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარება (2019-2024წ.).

5. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

მიზანი 1. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე აკრედიტაციის მიღება - (2018-2022 წწ);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში საბუღალტრო აღრიცხვის სწავლებისთვის სერთიფიცირებული ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) აკრედიტაციის მიღება (2021წ.).
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შევსება SuToMa-ს პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდულებით (2018);

მიზანი 2. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის მიმართულებით კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- სოციალური კვლევების ცენტრის შექმნა (2018 წ.);
- ახალი საფეხმავლო ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა -განვითარება და ტუროპერატორებისთვის შეთავაზება (2019 წ.)
- ტურისტულ სექტორთან ურთიერთობის გაღრმავება (2019-2024)

მიზანი 3. უწყვეტი განათლების (სასერთიფიკატო გაამზადების კურსები) მხარდაჭერა და განვითარება

მიზნის მისაღწევად საავტორიზაციო პერიოდში იგეგმება:

- ბუღალტერიის LLL კურსების შექმნა (2019 წ.).